ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2554441

ნომერი: AR1395986

თარიღი : 13.04.2016

გაცემის თარიღი : 20.04.2016

გაცნობის თარიღი : 20.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ მაისურაძე პ/ნ 01024032583
- თბილისი პეკინის I ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

ამსახურმა განიხილა თქვენი #AR1395986 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში,

#01.14.11.002.035 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.11.002.013, #01.14.11.002.036 და #01.14.11.002.035 საკადასტრო ერთეულებზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესაძლებლობის საკითხი განიხილა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს #6 (04.02.2016) სხდომამ, რომლის წევრთა დადებითი დასკვნის საფუძველზე გაიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები #1–377 (07.03.2016) და #1–376 (07.03.2016), რომლების შესაბამისადაც #01.14.11.002.013, #01.14.11.002.036 მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ–1 კოეფიციენტი განისაზღვრა 0.4–ით, ხოლო ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტი განისაზღვრა 11.9–ით. ასევე #01.14.11.002.013 მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ–1 კოეფიციენტი განისაზღვრა 0.6–ით, ხოლო ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტი განისაზღვრა 7.3–ით. (სამსახურის წერილი #2441056 17.03.2016წ.)

2016 წლის 13 აპრილს #2540850 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ.#64-ში / ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #66-ის მიმდებარედ (ნაკვ. #2/14)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/18)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/19)/ ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/24)/ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.002.035) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის – სასტუმრო (,,ა" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2016 წლის 13 აპრილს #2540502 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.11.2012წ. #414250 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.11.002.035 საკადასტრო ერთეულზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
